№ 112 10 თიბათვე, შაბათი 1866–1878 10 თიბათვე, შაბათი № 112

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგეევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგეევის ქუჩაზე, Ив. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბერლინი, 8 ივნისს. დღევანდელი სხდომა კონგრესსისა დაიწყო ნაშუადღევის ორს საათზე და გაგრძელდა ვიდრე ოთხ საათამდინ.

გაზეთი Norddeutsche Algem. Zeitung“ ამბობს: ბოლგარიაზე მოლაპარაკების შემდეგ, ამბობენ, კონკრესსი ბესსარაბიის შესახებ დაიწყებს სჯასაო.

რუსეთი ამბობს, რუმინიას არა აქვს საფუძველი, რომ 1856 წლის პარიჟის ტრაქტატზე დაჰყარდესო, რადგან ეს ტრაქტატი, რუმინიასთან კი არა, ოსმალეთთან არის შეკრულიო. ამ ნაირად, რადგან რუმინია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არ არის ჯერ აღიარებული, ამის გამო პირველად ოსმალეთი უნდა იყოს მიღებული მხედველობაშიო. რუმინიამ უნდა მოიფიქროს აგრეთვე იმაზე: განა უმჯობესი არ იქნება იმისათვის, რომ დაუთმოს ბესსარაბია რუსეთს და ამნაირად აიცილოს თავიდამ მტრობა ძლევა-მოსილის სახელმწიფოსი, რომელსაც ერთ-დროს ეს პროვინცია ეკუთვნოდა?..

პეტერბურღის ბირჟა, 8 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

1 მანეთი ღირს:

ლონდონი—	24—78	პენსი
ამსტერდამი—	125—75	ცენტი
ჰამბურგი— —	211—„	პფენიგი
პარიჟი — —	259—„	სანტიმი

შინაგანი 5% სესხის ბილეთები:

	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	236—67
მეორე სესხის — — —	231—50

ბანკის ბილეთები:

პირველი გამოცემის —	98—75
მეორესი — — — —	95—87
მესამესი — — — —	95—75
მეოთხესი — — — —	95—75
აღმოსავლეთის — —	94—75
ოქრო, 1/2 იმპერიალი—	7—95
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი—	—91— „

საქართველო

დღიური

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ მომავალ სექტემბრის თვის განმავალობაში თფილისში იქნება ისეთივე კრება ყველა სოფლის მასწავლებლებისა, როგორიც არის ხოლმე მუდამ რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებში. თფილისის სასოფლო შკოლის დირექტორს უფ. სტრელეცკის უკვე გაუგზავნია ყველა თავის ხელ-ქვეშ სოფლის მასწავლებლებისათვის მოპატიჟება თფილისში. აგვისტოს უკანასკნელ დღეს ყველანი უნა მოგროვდნენ, რადგან პირველ ენკენისთვიდამ დაიწყება კრების მუშაობა. ე. ი. სწავლების სისტემის გაცნობა, გამოსაცდელი გაკვეთილები, იქნება ლეციებიც და სხვ.

ჩვენ გვითხრეს, რომ ამ კრებისათვის თფილისში ჩამოსულს მასწავლებლებს სანამ აქ დარჩებიან, დღეში თხუთმეტი შაური მიეცემათ სახარჯოთაო.

*** მეორე ამბავი, რომელიც აგრეთვე სასოფლო შკოლების მასწავლებლებს შეეხება:

მოგეხსენებათ, რომ სასოფლო შკოლების მასწავლებლებს რუსეთში, არავითარი სამსახურის უპირატესობა არა აქვსთ მინიჭებული და სამოცი წელიწადიც რომ იმსახურონ, სიბერეში არც პენსია და არც სხვა რამ ჯილდო მოელის იმათ კეთილ-სინიდისიან სამსახურისათვის.

რუსულ გაზეთებში იწერებიან ამ ჟამად, რომ სახალხო განათლების სამინისტროში ამ საგნის შესახებ სჯა არის ახლაო და განზრახვა აქვთო, რომ ყოველ სოფლის მასწავლებელს ჯამაგირიდამ წელიწადში 6% (მანეთზე ექვსი კაპეიკი) გამოურიცხონ და ამ ფულით შემდგარ კასსიდამ პენსია დაუნიშნონო.

*** თფილისის კლასიკურს გიმნაზიაში წელს სულ 20 პირს დაუჭერია ეგზამენი და მიუღია გიმნაზიის შესრულების ატესტატი; მხოლოთ ერთს მიუღია უბრალო მოწმობა. ამ კურს-შესრულებულებში 5 რუსია, 2 ქართველი, 11 სომეხი და 1 ნემეცი. მქვსს ამათგანს სახელმწიფო ხარჯით გზავნიან უმაღლესს სასწავლებლებში. ორს უფრო ღარიბ ყმაწვილს აძლევენ თითოს 75 მანეთს იმ ფულიდამ (2,300 მანეთიდამ), რომელიც ღარიბი გიმნაზიელებისათვის აქვს ამ გიმნაზიას მოგროვილი.

*** გაზეთს „ობზორს“ გაუგონია, ერთ მეცნიერს მუსულმან მირზას საიდ-ეფენდის თხოვნა მიუცია უფ. თფილისის ღუბერნატორისათვის, რომ იმას მიეცეს ნებართვა თფილისში ტიპოგრაფიის გახსნისა, რომ თათრულს და რუსულს ენებზე წიგნები ჰბეჭდოს.

ესვე საიდ-ეფენდი აგრეთვე თათრულს და რუსულს ენაზე გაზეთის გამოცემასაც აპირებსო.

*** ჩვენ გვთხოვენ მივაქციოთ სანიტარული კომიტეტების ყურადღება გარემოებას, რომ კუკიის ხიდის მახლობლად, მიხაილოვის შოსსეზე რომ ბაყლები და მეთევზეები არიან, ისინი ისე ცუდათ და ბინძურად ინახავენ თავიანთ დუქნებსაო, რომ ახლოს გავლა არ შეიძლება, იქაურობა აყროლებული არისო. განსაკუთრებით საძაგელი სუნი დგება თურმე დილაობით, როცა მეთევზეები თევზებს რეცხენ.

*** „ივერიის“ უკანასკნელს (22) ნომერში იწერებიან:

„1 თიბათვეს შეიკრიბა გამგებელი კომიტეტი „თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა, შეუძლებელთ მოსწავლეთა შემწეობისათვის.“ უველაზედ უწინარეს კომიტეტის თავმჯდომარის თანაშემწემ ღენ.-ლეიტ. მამაცოვმა წაიკითხა თ. გიორგის ძის ერისთავისაგან მოწერილი წიგნი, რომლითაც თ. ერისთავი ითხოვს გადადგომას თავჯდომარობის თანამდებობიდგან შეუძლებლობის გამოისობით. გარდა ამისა თ. გიორგი ერისთავმა გამოუგზავნა კომიტეტს თავისი საწევრო ფული—ათი თუმანი და საჩუქარი რვა-ასი ეკზემპლიარი წესდებისა რუსულს ენაზე თავჯდომარის ხარჯით დაბეჭდილი. კომიტეტმა დასდვა—მადლობა გამოუცხადოს თ. გიორგი ერისთავს ამა შეწირვისათვის და მოახსენოს საზოგადო კრებას მისი თხოვნა, რათა კრებამ ამოირჩიოს ახალი თავმჯდომარე კომიტეტისა.

„შემდეგ კომიტეტში წაკითხულ იქმნა წესდება და ანგარიში მოსამზადებელის შკოლის შეუძლებელთ მოსწავლეთათვის, წესდება შედგენილი იმ კომ-

მისსის მიერ, რომელიც ამორჩეულ იქმნა კომიტეტის წარსულ სხდომაში. კომიტეტმა დასდვა: მოახსენოს ყველა ეს საზოგადო კრებას და მოსთხოვოს მას ნებართვა, რათა შეუდგეს შკოლის გამართვას.

„საზოგადო კრება მოწვეულ იქმნება სეკტემბრის დასაწყისში.

„კომიტეტს განზრახვა აქვს გახსნას შკოლა ოქტომბრის დასაწყისში მაინც.“

„დროების“ კორრესპონდენცია

ხონი, 4 ივნისს. ისე ამის წამკითხველს შეუწუხდა მტერი, როგორც შეწუხებული ჩვენ ვიყოთ უხორცობით. აგერ ხუთი კვირა იქნება, რაც ორჯელ არ შეგვხდომია ხორცის ჭამა;—ამოიღო სული ყველის და ბალახის ჭამამ, სისუსტეც შამოგვეტანა. ვშიშობთ, რომ, სისუსტის გამო, ცუდი რამ სენი არ გაგვიჩნდეს.

მოგეხსენებათ, ყოველ ოჯახში ცალკე დაკვლა პირუტყვისა შეუძლებელი არის და ბაზარში ყასბები არ კვლენ, რადგანაც მათ, ცუდი სენის გამო, შუა ბაზარში დაკვლა აღუკრძალა ახალმა მომრიგებელი მსაჯულის თანაშემწემ უ. ხარინსკიმ და უბრძანა, რომ გარეშე ქალაქისა დაეკლათ და დაკლული შამოეტანათ გასასყიდათ. ეს განკარგულება, რასაკვირველია, იწყინეს ამ დროით გასუქებულ ყასბებმა და ამის შემდეგ სულ აღიკვეთეს საქონლის დაკვლა.

წარმოიდგინეთ—ათ შაურს ვიძლევით ოყა (სამი გირვანქა) ხორცში და ვერ ვშოულობთ, მაშინ როდესაც ამისთანა ფასს ატრიადშიაც არ იძლევიან. საუბედურო გაგვისუქდა, ისეთი პირნი, რომელნიც მავნე არიან საზოგადოებისთვის და ფულის სიყვარული იმოდენათ აქვთ გამჯდარი, რომ კაპეიკისთვინ ძმას გაჰყიდიან.

ამბობენ, ამ ომიანობამ ხალხი წინ წასწია. წინ წასწია, როგორც ზევით მოგახსენეთ, ისეთი პირნი, რომელნიც ათ მანეთს წელიწადში ასათ გახდიან,—თორე საბრალო დაბალ ხალხში, როგორც ყოველთვის, ომს ზიანის და დაკლების მეტს ვერას ვხედავთ.

ყარსში ვინც წავიდნენ აქაურები (ჩარვადრები), მთლათ ემსხვერპლნენ ხომ და ის არის. ზოგი იქ დაიხოცა და ზოგიც აქ-„საოფლით“. ჯერ ერთი არ გარდარჩენილა, ვინც კი მოაწია აქ და ჩვენც გვიწყალობეს ეს ცუდი სენი. საბრალოები თურმე ზოგიერთები ცხენებს სტოვებენ უპატრონოთ და თვითონ სიკვდილს გაელტვიან.

აი დაბალი ხალხის შეძენა!...

ამ ჟამად საკმაო ყურადღებაა მიქცეული ჩვენი პატარა ქალაქის გასუფთავებაზედ, რომლისათვის არ შეგლიძლიან მადლობა არ შევწიროთ პოლიციის პრისტავს, რომელიც ამ უკანასკნელ დროს რიგიანათ ეკიდება თავის თანამდებობას. პრისტავის ამგვარ კეთილ მოქმედებას მომრიგებელი მსაჯულის თანაშემწე უ. ხარინსკიც თანა უგრძნობს და უხვათ ჯარიმას აწერს იმ ბინძურთ მოვაჭრე პირთ, რომელზედაც უ. პრისტავი საჩივარს აცხადებს. საქებია ჭეშმარიტად ეგეც თუ არ „ახალ-ცოცხობს.“ მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ის არ მისცემს განსხვავებას იმ პირთ, რომელნიც პატივს სცემენ და კარგს სადილს გაუკეთებენ, არც ჯიბა სქელებს და ტუზებს, განსაკუთრებით საქმის განრჩევის დროს, როგორც რომელიმე მისი წინა-მოადგილეთი მოქმედებდნენ.

სწორეთ ძრიელ საჭიროა ჩვენთვის ეხლა სისუფთავე. ჯერ აქა-იქ არის საოფლე და თუ მარჯვეთ არ ვიქენით, უთუოთ გაგვიერცელდება. სხვა სენსაც უნდა მოველოდეთ; მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ უ. პრისტავზედ, რომელიც მოგვაკლებს ისეთ განკარგულებას, როგორც განკარგულება მოახდინა ამ დღეებში აბრეშუმის პარკის სახარშავ მაშინის შესახებ, რომელიც იმყოფება ბაზრის გვერდით და საძაგელ სუნს უშვებს და ჰაერს აფუჭებს. ამის თაობაზედ დოკტორი არის დაბარებული ბუთაისიდამ, რომელიც დაამტკიცებს მისს მავნებლობას და ამნაირათ დაიხსნის ხალხს. შესათუოდ ამნაირიც ყურადღება იქნება მოქცეული იმ დამპალ ტარნებზე და თევზებზე, რომელნიც უხვათ ყრია ჩვენს ბაზარში და რომელსაც უხვათაც ეზიდება ხალხი ამ უხორცობის დროს.

ხონელი

ომის ამბები

ომის შემდეგ

ბ. ზეთი „Indép. Belge“ გვაცნობებს, რომ ინგლისი და რუსეთი შემდეგი პირობებით დათანხმებულან:

„1) ბალკანის მთების სამხრეთი ბოლგარია რუსისა და ინგლისის ჯარებით უნდა იენეს დაჭერილი. ამ სამხრეთ ბოლგარიაში მმართებლობის წესის დადგენა ინგლისს ექნება მინდობილი და ჩრდილოეთ ბოლგარიაში კი რუსეთს;

2) რუსეთმა პირობა მისცა ინგლისს, რომ კონტრიბუციის ფულის გირაოში არ დაიჭერს ოსმალოს პროვინციებსა და ქალაქებს; 3) მაგიერად ინგლისი წინააღმდეგობას არ გაუწევს რუსეთს, თუ ის ამ კონტრიბუციის ფულში რამდენიმე ჯავშნიან ხომალდს აიღებს ოსმალეთისაგან. 4) მცირე აზიაში რუსეთი შეიძენს მხოლოთ ყარსს და იმის მაზრას.“ —

ფელეტონი

მეთვრამეტე საუკუნის *)

მწიგნობრობა საქართველოში

მეფე ვახტანგი—სტამბა—ბიბლიოთეკა—ფრანგის პატრები—სასულიერო და საერო სასწავლებელი 1710—11 წელსა ქ. თფილისში—სასულიერო წიგნების ბეჭვდა დარიგება—ხელთნაწერი წიგნების ეგროება

როგორც მწერლობა, აგრეთვე ბეჭვდაც, სწავლაცა და განათლებაც ძალიან კარგა მიდიოდა, ვიდრემდის მეფე ვახტანგი თფილისში იმყოფებოდა და მისი თანა მედროვე ქართველი მწერლები, ესე იგი 1710 წლიდამ 1719 წლამდინ.

მაგრამ მას შემდეგ, როდესაც ისე ბატონიშვილმა ძმების სიძულვილი ჩაიდო გულში მეფე ვახტანგი ისპაანს მიიხმეს ყეენებმა, მას შემდეგ კი საქმე ცუდათ წასულა: წიგნის ბეჭვდაც შეწყვეტილა და თარგმნებიც. ბარდა იმისა მაშინ აღარა დაბეჭდილა-რა; მხოლოთ 1721 წელს დაიბეჭდა კიდეე, მეფე ვახტანგის ხარჯით, ერთი სახელმძღვანელო წიგნი სახელდობრ „ხელოვნება ანუ ქმნილება,“ რომელიც აქამდისინაც იპოება ჩვენში.

ამ წიგნის დაბეჭდის შემდეგ აღარაფერი დაბეჭდილა, რადგანაც სტამბა დახურულა და მეტეხის ეკკლესიის ეზოში გადაუტანიათ, ზოგნი კი იძ.ხიან, ვითომც ბატონი შვილი თეიმურაზის ნასახლარში გადაიტანეს, ბარეთ-უბანს რომლის სახლები ახლა თავადთ ორბელიანებს უჭირამსთ. მაგრამ უფრო დასაჯერებელია, რომ მეტეხის ეკკლესიაში გადაეტანოთ, რადგანაც ჩვენ ვიცით, რომ წარსულ საუკუნის დამლევს იქ მეტეხის მღვდელმა პატარა დაუჯდომელი გამოსცა და მეორეთაც დაბეჭდა მეფე ბიორგის გამეფების დროსა, სადაც იგი იხსენიება მეფე ბიორგის, მის მეუღლეს და პატრონ კათალიკოზს.

მეფე ვახტანგის თფილისში არ-ყოფობის დროს, ბევრი არეე-დარეა მოხდარა: აფთიექი დაუკეტიათ პატრებს და ხალხს იგინი აქედამ გაურეკიათ. ამბობენ, ვითომც ექიმობის დროს ხალხსა და ავათმყოფებს მუდამ უქადაგებდნენო ფრანგის სარწმუნოებასაო.

როცა პატრები წასულან, დიდ-ძალი ხელთნაწერი წიგნები წაუღიათ მაშინდელი ხელთ ნაწერი ბიბლიოთეკიდამ ყიდვით. ამბობენ, რომ ვითომც პატრი ფილიპე მაშინ იყო საქართველოშია, იმან კარგათ ისწავლა ქართული ენა და ქართულსა და იტალიურს ენაზე მცენარეთ ლექსიკონი შეადგინაო. 1741 წ. რომ რომში ორი წიგნი გამოვიდა ქართულს ენაზე, ის ფილიპე მღვდლის გა-

*) „დროებ“, № 111.

სტამბოლის მახლობლად დგას ამ ჟამად 60,000 რუსის ჯარი, ბულაირთან (გალიპოლის სახ-ჟ-ოეს)—15,000, როდოსტოსთან—5,000, ჩორლუში—30,000 კაცი 150 ზარბაზნით და 30,000 ადრიანოპოლში.

—

ნემეცურ გაზეთის „პრესსში" იწერებიან ბერლინიდამ:

„მომავალ კვირაში ლორდი ბიკონსფილდი დაბრუნდება ლონდონში. იმის ადგილს კონგრესზე მარკიზ სალისბიური დაიჭერს.

„აქ იმედი აქეთ, რომ კონგრესსი კარგათ შეასრულებს თავის მოვალეობასა და საქმე უბრძოლველად გათავდება. ყველაზე უფრო მომეტებულ დაბრკოლებას ახლა ავსტრიისაგან მოელიან, მაგრამ ამბობენ, გრაფ ანდრაშიმ გამოაცხადაო, რომ ავსტრო-უნგრია ყოველს შემთხვევაში დაემორჩილება კონგრესსის გადაწყვეტილებასაო."

—

კონგრესსის სხდომების გახსნის თაობაზე „Indép. Belge"-ში იწერებიან:

„კონგრესსი გახსნა თ. ბისმარკმა; იმან სთქვა სიტყვა, რომელშიაც გამოაცხადა სურვილი, რომ კონგრესს ბედნიერად გაეთავებინოს თავისი მოვალეობა და ამით დაემშვიდებინოს ომიანობის მოლოდინით აღელვებული ევროპა. შემდეგ თ. ბისმარკმა გადასცა კონგრესსის წევრებს პროექტი—თუ რა რიგათ უნდა წავიდეს სხდომები და რაზედ უნდა იქნეს მოლაპარაკება. ყველაზე პირველად, რასაკვირველია, სანსტეფანოს მოგების პირობის განხილვას შეუდგებიან.

„კონგრესსის სხდომები დღე გამოშვებით იქნება. რუმინიის, საბერძნეთის, სერბიის და ჩერნოგორიის წარმომადგენლები კონგრესში მონაწილეობას არ მიიღებენ.

„თ. გორჩაკოვი და ბიკონსფილდი ამ კვირის დამლევს წავლენ ბერლინიდამ, რადგან იმედი აქეთ, რომ მანამ უმთავრეს საგნების განხილვას მორჩება კონგრესსიო."

—

თითქმის ყველა დიდ გაზეთებს ინგლისისასა, საფრანგეთისასა, გერმანიისა და სხვა ქვეყნებისას გაუგზავნიათ ბერლინში თავის სპეციალური კორრესპონდენტები, რომელთაც თვალ-ყური უნდა ადევნონ კონგრესსის მოქმედებას და ყველა ამბავი, რასაც შეიტყობენ, თავიანთ გაზეთებს აცნობონ.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ კონგრესსის სხდომები საიდუმლოა და ამის გამო ნამდვილ ამბავს—თუ რაზედ ილაპარაკეს იმათ, როგორ და რა გადაწყვიტეს ჩვენ, სანამ თვითონ ეს კონგრესსი არ გამოაცხადებს, იშვიათად შევიტყობთ.

—

პეტერბურღის გაზეთებში იწერებიან, რომ, თუ კონგრესმა მშვიდობიანათ გაათავა თავის საქმე და ომი აღარ ატყდა, ამ შემთხვევაში ღენ.-ადიუტ. ლორის-მელიქოვი თურქისტანის ღენერალღუბერნატორად დაინიშნება ქაუფმანის მაგიერათაო.

—

ერთს ბერძნულს გაზეთში იწერებიან, რომ აღმოსავლეთის საქმეების გამო ეს დაუსრულებელი განხეთქილება მხოლოთ მაშინ მოისპობა, როდესაც: ბოსნია, ჰერცოგოვინა და ბოლგარია დამოუკიდებელ სამთავროებს შეადგენენ; რუმინიაც განთავისუფლებული იქნება და იმის სიმთელე დაცული იქნება; აგრეთვე სერბიაც და ჩერნოგორიაც თავისუფალნი იქნებიან და თავის სამზღვრებს გაისწორებენ; საბერძნეთს შეუერთდება თესსალია, ეპირი და კრიტი. მხოლოთ როდესაც ყველა ეს შესრულდება, მაშინ უნდა მოველოდეთ ევროპის დამშვიდებასაო.

წერილი რედაქტორთან

უფალო რედაქტორო! მინდა მოგახსენოთ ჩემი გაჭირვება რომელმანც მე ანთებულს ცეცხლში ჩამაგდო.

აი რასში მდგომარეობს, ბატონო, საქმე:

მე მყავს ოთხი ცოლშვილიანი ვაჟი, ერთი მათგანი უნცროსი უფრო მებრალება და უმფროც მიყვარს სხვა ვაჟებზედ.

მიმიხვდნენ თუ არა ჩემგან ამ შვილის სიყვარულს, გაეშმაკებულთა პირთა ჩაუგონებიათ თურმე ის, რომ მე გამომტყუოს ვექსილი ვალდებულობისა. ჩემი შვილი დათანხმებულა და საქმე ასე მოახერხეს: ნატარიუსთან შეუდგენიათ ჩემს შვილს და მის ამხანაგებს ვექსელი 3,000 მანეთის, რომელიც ვითომც მისესხებია ჩემის შვილისგან.

მომიტანეს ეს ვექსელი, რუსულად დაწერილი, და მითხრეს მოწერა ჩემი სახელისა და გვარისა, ვითომც მე მოწმად ვისახებოდე მათ შორის ერთისგან მეორის ვალის აღებაზედ. რადგან მე არ ვიცოდი რუსული და არც ვიფიქრებდი თუ შვილი და ნატარიუსის ბეჭედი შემაცდენდა, ამიტომ მოვაწერე ხელი.

ბოლოს ვნახე, რომ ჩემი შვილების კარში გამყრელი და მათი საცხოვრებელის ამწერი ვექსილი ყოფილიყო.

მოცემულებიაო, ერთს წიგნს ეწოდება „პროპაგანდო დე ვიდე."

ფრანგის პატრების შემდეგ, სხვებსაც დაუწყვიათ წაღება იმ ბიბლიოთეკიდამ ხელთნაწერი წიგნებისა ისე, რომ პატრონი არავინ ჰყოლია; ნიკოლოზ კათოლიკოზი იმ დროს ავათ იყო და პამფილიოს არხიეპისკოფოზიც ხომ თითქმის გამოაგდეს ქართველ თავადებმა სასულიერო წოდებიდამ, რადგანც იგი პატრების მეგობარი იყო და ფრანგობას ქადაგებდა ხალხში

მინამ მეფე ვახტანგი მოვიდოდა, მინამდინ ერთ ვილაცა მუხრანბატონს, იასე გაჰმამადიანებულის ბატონიშვილის ბრძანებით, გაუტანია იქიდამ ნაწერები და დაუწოძს, რადგანც იასე ქრისტიანობის მტერი იყო. მეფე ვახტანგის დაბრუნების შემდეგ, თუმცა საქმე ისევ უკეთ წასულა, მაგრამ, როდესაც რუსეთში წასულა, მაშინ ერთ ვილაც ამილახვარს სიონის დეკანოზი მიუმხრია და ერთი ურემი წიგნები წაულია. ამბობენ ის ამილახვარი შემდეგ რუსეთში წავიდა და ის წიგნებიც იქ წაიღესო.

მეფე ვახტანგს ხომ საქართველოში დაბრუნება აღარ ეღირსა, მაგრამ რუსეთშიაც არ ისვენებდა; იქაც თურმე წიგნებს სთარგმნიდა.

მეფე ვახტანგის შემდეგ თურმე ძალიან ცუდათ წასულა ის საქმე, ვიდრე ანტონ საქართველოს პირველი კათოლიკოზი ეკურთხებოდა. ანტონი ბევრი ეცადა ბიბლიოთეკის ხელ-მეორეთ შევსებას.

შემდეგ კიდევ აშტარხნის არხიმანდრიტ გაიოსს, როდესაც რუსებს იქ მიუციათ ალაგი, დიდ-ძალი ხელთ ნაწერი წიგნები წაულია აშტარხანში. ანტონ მეორეს კათოლიკოზსაც ბევრი წაულია როდესაც იგი რუსეთის მიროროდის გუბერნიაში წასულა.

რაც იმათ წაღებ-წამოღებასა და 1795 წლის აღა-მამად-ხანს გადარჩენია, ისიც მეფე ერეკლე მეორის სიკვდილის დროს ღვდლებსა და ბერებს მონასტრებში წაულიათ, რომელნიც დღევანდლამდინაც იხილვებიან დავით გარეჯის მონისტერში და სხვაგან და რაც იმ ბერებსა და ღვდლებს დარჩენიათ, ისიც სიონის ღვდლებსა და ბიბლიოთეკარს პავლე დეკანოზს გაუყვიათ.

მაშინდელი სტამბის საქმეც არავინ არაფერი იცის—თუ რაიქნა და აღარც არაფერი დაბეჭდილა ქრისტესია ღვდლის შემდეგ გარდა იმისა, რაც 1798 წელსა გამოვიდა ბატონიშვილი დავით გიორგის ძისაგან შედგენილი საზოგადო ისტორია, ფირალოვის ანბანი 1800 და 1801 წელში და გაიოსის გრამატიკა ხუცურათ.

აი ასე მოჰლებია ჩვენში ბოლო იმ კეთილს საქმეებსა და დაგვკარგვია უბრალოდ ის ღვაწლი, რომელიც მეფე ვახტანგსა და მისსთანამ-ედროვე მწერლებს დაუდვიათ.

ზ. მთაწმინდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკითხველი მოიაზრებს რაც სიცხე მე მომადგებოდა.

რადგან მე უსწავლელი ქალი ვარ, ვერ გამიბედია ნატარიუსს უჩივლო ამისთანა ვექსილის შედგენისთვის; ამისთვის საჭიროდ დავინახე, რომ თქვენს გაზეთში გამოვაცხადო ეს ამბავი, რადგან ამგვარის საშუალობით ყველანი შეიტყობენ და შემდეგში მაინც გაფრთხილდებიან.

X

რ. ჭა, 28 მაისს.

უცხო ქვეყნები

საფრანგეთი

დეპუტატმა რენომ ნაციონალურ კრების 27 მაისის სხდომაზედ ჰკითხა უცხო ქვეყნის საქმეთა მინისტრს ვადინგტონს— თუ რა პოლიტიკით იხელმძღვანელებს მმართებლობა ბერლინის კონგრესზედაო.

ამ საგნის შესახებ ვაგინგტონმა სთქვა, რომ თავიდამვე, როცა ჯერ რუსეთსა და ოსმალეთს შუა ომი იყო და შემდეგ, როცა ინგლისსა და რუსეთს შუა განხეთქილება ჩამოვარდა, საფრანგეთის მმართებლობა მხოლოთ იმას ცდილობდაო, რომ ამ სახელმწიფოებში მშვიდობიანობა და კეთილი განწყობილობა ჩამოეგდო. ახლაც, რადგან კონგრესსამდინ მივიდა საქმე ჩვენი მეცადინეობა მხოლოთ ის იქნება, რომ ევროპა ხელახლად აღელვებული და შეწუხებული არ იქნეს ომითა და სისხლის-ღვრით. საფრანგეთი ეცდება, სთქვა ბოლოს ვადინგტონმა, რომ 1856 პარიჟის ტრაქტატი მიიღონ სახელმწიფოებმა მხედველობაში და აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძულზე, ბოლგარიელებს გარდა, სხვა ხალხებიც არიან, რომელთ ბედზედაც ევროპამ უნდა იზრუნოს.

განცხადებანი

თფილისის ქალაქის გამგეობისაგან

თფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ იმის თანდასწრებით ამ ივნისის 16-სათვის დანიშნულია **ვაჭრობა გასასყიდლად საქალაქო მიწისა**, რომელიც მდებარეობს კახეთის გზაზე, მე-2 განყოფილების მე-15 უჩასტკაში და შეიცავს 251 ოთხ-კუთხ საჟენს ადგილს, გამოსადეგს შენობის გასაკეთებლად.

(3—1)

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული **სამზარეულო წიგნი**“. შედგენილი კნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

(4—I)

ქირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს პუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია, სახლის № 44.

(3—2)

იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა **„მული, რძალი და მაზენიკები“** სამ-მოქმედებიანი დრამმა **ალ. ა. თუთაევისა**

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამმა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული ზრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“ **კ. მესხისაგან.**

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნის მაღაზიებში, **ქუთაისში—**ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

ამ თვის 15-ს გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე ცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქ. გორში არის ხუთ-თვალიანი გასაქირავებელი სახლი უფ. ჟურულისა თავის სამზარეულოთი, სარდაფითა და ეზოთი.

სახლი დგას როტონდის გვერდით.

ფასისა და სხვა პირობების შეტყობა შეიძლება გორში უფ. ალალო თუთაევთან.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68	-	38
გორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ყვირილა .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ყვირილა. .	1	18	ღამე		3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
გორი . .	7	5	4	8	7	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
თფილისი .	9	31	7	56	9	75	5	42

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:	მ.	კაპ.
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. კახეთს— სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს— ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ.
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

მაზანდა

თფილისი, 9 ივნისს.	მან.	კაპ.
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფთ.	1	40
ფქვილი წითელი . .	1	20
ქერი ფუთი . .	1	15
ბამბა ერევნისა, ფუთი .	7	50
— ამერიკისა, ფუთი . .	8	30
განპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფთ.	6	50
—თარაქამისა ფთ. .	4	50
აბრეშუმი ნუხური სტ.	2	—
ქონი, ფუთი. .	6	50
ქონის სანთელი ფუთი.	8	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	70
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	99
—ცხვრისა, ლიტრა .	—	99
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	6	20
ყავა გრგვალი, გირვ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საშუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ქიუჩარიანც—ხირურგი, გარალევიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტოვი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. გავრინსკი—თვალის და ობრუხტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. გ. ხუტოვი და ქიუჩარიანცი.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკიტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9 Іюня 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორის. მესხი.